ინსპექტირების ანგარიში № IB-A-ZN-PR-73/22-2k (28.10.2022)

A-ტიპის ინსპექტირების ორგანო აკრედიტებული ISO/IEC 17020:2012/2013, მ/ნ GAC-IB-0263

სამართლებრივად ნაკისრი ვალდებულებით პასუხისმგებელია ინსპექტირების/ექსპერტიზის მიუკერძოებლობაზე, კვლევის ჯეროვან ჩატარებაზე და ინსპექტირების/ექსპერტიზის ჩატარების დროს მიღებული ან წარმოქმნილი ნებისმიერი სახის ინფორმაციის კონფიდენციალობაზე.

ინსპექტირების ორგანოს ხელმძღვანელის მიერ განმემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო/საინსპექტირებო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

აკრედიტაციის სფერო:

სამშენებლო ობიექტის (შენობების და ნაგებობების) პროექტის ან პროექტის ნაწილის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება

ინსპექტირების (ექსპერტიზის) ობიექტი:

ქ. თბილისში, რატევანის შესახვევი I, N4 - ში (ს/კ 01.12.09.003.013) მშენებარე შენობა.

ინსპექტირების (ექსპერტიზის) ჩატარების საფუძველი:

განაცხადი ინსპექტირების ჩატარებაზე: № შ 73/22 (19.09.22); ხელშეკრულება: N 73/22 (19.09.22).

დამკვეთი:
შ.პ.ს. ,,ნ პლიუსი"
იურიდიული მისამართი:
ქ. თბილისი, გიორგი ბრწყინვალეს ქ. N44,
ს/კ 205226995
დირექტორი:
დავით ხარაბაძე
ტელ. 599 54 92 92

ინსპექტირების (ექსპერტიზის) შემსრულებელი:

ინსპექტორი - **ედიშერ წოწერია**

ტექნიკური მენეჯერი - **ვაჟა დარჩიაშვილი**

ინსპექტირების (ექსპერტიზის) ჩატარებაზე განაცხადის შინაარსი

მომზადდეს ინსპექტირების ანგარიში (საექსპერტო დასკვნა) მასზედ, რომ ქ. თბილისში, რატევანის შესახვევი I, N4 - ში (ს/კ 01.12.09.003.013) მშენებარე შენობა-ნაგებობების წარმოდგენილი პროექტის მიხედვით განსახორციელებელი სამშენებლო სამუშაოებით უზრუნველყოფილი იქნება მიმდებარე შენობა-ნაგებობების უსაფრთხოება.

ამ დოკუმენტით ხდება წინა დოკუმენტების - IB-A-ZN-PR-73/22-2k; IB-A-ZN-PR-73/22-2 (19.10.2022) ჩანაცვლება

ინსპექტირების თარიღი ან პერიოდი: 20.09.2022-19.10.2022

წარმოდგენილი დოკუმენტაციები

1. შპს „ნ პლუსი"-ს მიერ შედგენილი მუშა პროექტის კონსტრუქციული ნაწილი: „ქ. თბილისში, რატევანის შესახვევი I, N4 (ს/კ 01.12.09.003.013), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, პროექტის ავტორი, თ. კოშაძე, კონსტრუქტორი, ლ. ჯაიანი, თბილისი 2022 წ.;
2. ლევან სამხარაულის ეროვნული ბიუროს #005448522 დასკვნა: "ასაშენებელი შენობის ქვაბულის პროექტი და შენობის კონსტრუქციული ნახაზები პასუხობს ნორმების მოთხოვნებს და მისაღებია მშენებლობისათვის".

პროექტის მოკლე შინაარსი და ძირითადი საპროექტო გადაწყვეტები

საპროექტო შენობა ექვსსართულიანია, მიწისქვეშა სართულის გარეშე. საძირკვლებად მიღებულია მონოლითური რკინაბეტონის მთლიანი საძირკვლის ფილა, რომლის ძირის ქვეშ დასაფუძნებელ თიხნაროვან გრუნტებამდე მოეწყობა არანაკლებ 1 მ სიმძლავრის მდინარის ბალასტი. ქვაბულის ძირის აბსოლუტური ნიშნული არ იქნება 499,0 -ზე ნაკლები.

საპროექტო ნაგებობას ჩრდილოეთიდან ემიჯნება ორი ნაკვეთი. ნაკვეთი საკადასტრო კოდით 01.12.09.003.30, რომელზეც განლაგებულია ორი ერთსართულიანი და ერთი ორსართულიანი საცხოვრებელი სახლები; მათი მისამართია ქ. თბილისი, რატევანის I შესახვევი N6. მეორე ნაკვეთზე საკადასტრო კოდით 01.12.09.003.31 განლაგებულია ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი მისამართით ქ. თბილისი, რატევანის I შესახვევი N6ა. ყველა აღნიშნული უსარდაფო სახლის მზიდი აგურის წყობის კედლები დაფუძნებულია ლენტურ საძირკვლებზე. მათი დაშორება საპროექტო შენობის კონსტრუქციებთან არის 4,0 მეტრი.

საპროექტო ნაგებობას დასავლეთიდან ემიჯნება ნაკვეთი საკადასტრო კოდით 01.12.09.003.19, რომელზეც მისამართით რატევანის ქ. N16 ბ განლაგებულია ორსართულიანი და ორი ერთსართულიანი საცხოვრებელი სახლები, არგეთვე ხუთი ერთსართულიანი საკუჭნაო-სათავსო ნაგებობა. მათი მინიმალური დაშორება საპროექტო შენობიდან შეადგენს 8,0 მეტრს. ნაკვეთზე განლაგებული ძირითადი შენობა - ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი სარდაფით და ნახევარსარდაფით, საპროექტო შენობიდან დაშორებულია 12 მეტრით. ვიზუალური ანალიზით მისი ტექნიკური მდგომარეობა ავარიულობის თვალსაზრისით შეესაბამება დაზიანების IV ხარისხს.

ყველა მომიჯნავე შენობების არსებული რელიეფის აბსოლუტური ნიშნული არის 500,0-501,0 ფარგლებში. პროექტის განმარტებით ბარათში (პუნქტი 6) არგუმენტირებულია და ჩვენს მიერ დასტურდება, რომ სრულად არის დაცული სამშენებლო ნორმების და წესების "შენობების და ნაგებობების ფუძეები პნ 02.01-08" მუხლი 10 პუნქტი 5 მოთხოვნები. ნორმების ეს პუნქტი ასახავს მომიჯნავე ფუძე-საძირკვლების გეომეტრიის და გრუნტებზე ძალვების (შენობების დატვირთვები) განაწილება-ურთიერთგავლენის პარამეტრებს და შესაბამისად ასაშენებელი საპროექტო შენობის მიმართ „მომიჯნავე შენობა-ნაგებობების უსაფრთხოება უზრუნველყოფილია". ზემოაღნიშნულის გადამოწმების შედეგად მივიღეთ დადებითი გადაწვეტილება.

დასკვნა

ქ. თბილისში, რატევანის შესახვევი I, N4 - ში (ს/კ 01.12.09.003.013) მშენებარე შენობა-ნაგებობების წარმოდგენილი პროექტის მიხედვით რეალიზებული შენობა არ მოახდენს უარყოფით გავლენას მიმდებარე შენობა-ნაგებობების მდგრადობა-მზიდუნარიანობაზე და უსაფრთხოებაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. სამშენებლო ნორმები და წესები -(СНиП-ნაწილი 1);
2. სამშენებლო ნორმები და წესები -(СНиП-ნაწილი 2);
3. სამშენებლო ნორმები და წესები -(СНиП-ნაწილი 3);
4. საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილებაში N71);
5. ინსპექტირების მეთოდები და პროცედურები.

პროექტის ინსპექტირება განახორციელა და
დასკვნა შეადგინა, ინსპექტორი, ე. წოწერია

ტექნიკური მენეჯერი, ვ. დარჩიაშვილი

ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა,
დირექტორი, თ. ჩინჩალაძე

შპს "ზნიეპი" ZNIEPI "ZNIEPI" LTD GEORGIA 400172200